

რედაქცია: სოლოლოვზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. ბარეში მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дროზდა“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამისთვის—3 მ., ერთისთვის—1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფრომეტი

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განსხვავდება: ღირსი

ერთ ასოზე 1 კაპუტს, ხუთასზე 1 კაპუტს, ცეროთი—5 კაპუტს, პატარათი—4 კაპუტს

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს ან დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

განცხადება

გამოს კატივი განუცხადო თქვილისის კატივიცემულ ვაჭრებს, რომ მე მოვიტანე ვარკიში დამ ყოველ გვარი საქონლის ნიშნუხები, რომლებზედაც კი-ლებ ზაკაზებს კარბის პირობებით.

გისურვებთ უფულისანთ ნახონ ეს ნიშნუხები უ. არწრუხის ქარვასლაში. № 181, სადაც იქმნება გამოფენილი მოკლე ხნით. პაკიშის ფირმა:

Gilles et Iohan Chandons.

წარმომადგენელი უ. იეზოვი.

(12—ქ)

ნახევარი წლის ხელის-მოწერა

„დროებაზე“

მიიღება რედაქციაში—ბაღის (სადროვის) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ აღრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дროზდა“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდან წლის დამლევამდინ, გაგზავნილი—ხუთი მანეთი.

ხელის-მოწერა

გაპირებულ მოკლეთელთათვის

სოფ. ბაკურციხიდან კნენა ნინო სოლომონის ასულის ანდრონიკოვისას გამოუგზავნია „ივერიის“ რედაქციაში მოკლეთელთაათვის ჩვიდმეტი თუმანი, რომელიც შეუწირავთ შემდეგ პირთ:

რევაზ იოს. მაჩნაძე	—	—	10	„
ალექსანდრე ბ. მაჩნაძე	—	—	5	„
ნინო მაჩნაძისა	—	—	3	„
ელისაბედა	—	—	3	„
სიღონია მაჩნაძისა	—	—	3	„
X. X.	—	—	2	„
მიხეილ ჩოლაყაშვილი	—	—	1	„
დავით ჩოლაყაშვილი	—	—	1	„
მართა ავალოვისა	—	—	3	„

მლ. ლუარს. ანდრონიკოვისა	4	„
ღარია შობულოვისა	2	„
მარიამ შობულოვისა	2	„
ოლიმპიდა მაჩნაძისა	1	„
ნიკოლოზ შობულოვი	2	„
თემარ ანდრონიკოვისა	1	„
მარიამ ანდრონიკოვისა	1	„
ღარია ანდრონიკოვისა	1	„
ელისაბედ ანდრონიკოვისა	1	„
ქოენე მაჩნაძისა	1	„
სოლომონ დიმ. მაჩნაძე	3	„
ივანე მაჩნაძე	3	„
აჯია შახნაზაროვი	5	„
შენობი პირი	1	„
გიგო მაჩნაძე	1	„
ილია აფხაზი	5	„
მართა მაჩნაძისა	1	„
დავით მაჩნაძე	40	„
ბრიგოლ ალ. მაჩნაძე	1	„
სალომე მაჩნაძისა	1	„
ნიკოლოზ მაჩნაძე	1	„
ბაბაღე მაჩნაძისა	1	„
ნინო ჩოლაყაშვილისა	1	„
ელენე აბაშიძისა	1	„
ანასტასია მაჩნაძისა	1	„
ელისაბედ სტალინსკისა	1	„
სვიმონ აბაშიძე	1	„
იოსებ მაჩნაძე	3	„
ია ანდრონიკოვი	1	„
იოსებ ანდრონიკოვი	1	„
ნინა ანდრონიკოვისა	22	„
მართა ნაროსლოვისამ	1	„
ნიკოია ბაბუნია	1	„
მაკაკა ვასპაროვი	1	„
იოსებ ჯავახოვი	2	„
დავით შალაბეგოვი	1	„
მიხეილ ბოგიბაშვილი	1	„
მეჯინის მამასახლისმა და გლეხის საზოგადოებამ მეჯინისამ	16	20
ბურჯანის გლეხის საზოგადოებამ	25	„
ბაკურციხის მამასახლისმა და გლეხის საზოგადოებამ ბაკურციხისამ	19	40
შენობი პირი	35	„

მს ფული „ივერიის“ რედაქციაში გადასცა დიმიტრი ზაქ. ბაქრაძეს, რომელიც თავისის ხელით დაურიგებს გაჭირებულთ.

ტელეგრაფები

(ხალხთა-შობის ტელეგრაფის სააგენტოსი)

გერლინი, 20 ივნისს. მინისტრები გამოდიან სამსახურიდან. შინანსის მი-

ნისტრმა ბობრენტმა ვაჭრობისა და მეურნეობის მინისტრმა ჩრიდენტალმა და აგრეთვე სახალხო განათლების მინისტრმა ქალკმა უკვე მიატოვეს იმპერატორს ქალაქი, რომ იმათ ჰსურსთ თავიანთი თანამდებობიდან გამოვიდნენ.

საქართველო

დღისური

* * * * * თფილისის ქალაქის რჩევის გუშინდელმა სხდომამ, რომელიც დიდს ჰაპანწყვეტით შესდგა, რადგან კანონიერი 24 ხმითი დროზე ვერ მოგროვდნენ, მხოლოდ ერთი საგანი განიხილა—პროექტი იმ კანტრაქტისა, რომლითაც ქალაქი უნდა შეეკრას მოსკოვის ინჟინერებს ზამიატინს, შპანსკისა და პაპოვის ქალაქის პლანის გაკეთებისა და წყლის გაყვანის შესახეს.

ამ კონტრაქტის პროექტი ერთისთვის წინათ შეადგინა ქალაქის მამფეობამ, განიხილა რჩევამ და შემდეგ სხენებულ ინჟინერებს გაუგზავნეს ხელის-მოწერად. ინჟინერებს ამ დღეებში გამოგზავნათ ისევ უკან პროექტი და ითხოვნდნენ, რომ ზოგიერთი მუხლები კონტრაქტისა შეეცვალა ქალაქის რჩევას.

ამ ამ შესაცვლელ მუხლების თაობაზედ იყო გუშინ რჩევაში მოლაპარაკება. რევამ მიიღო თითქმის ყველა ის წერიმალი ცვლილება, რომელსაც თხოულობდნენ ინჟინერები. ახლა ერთ-ერთი იმ სამ ინჟინერთაგანი უნდა ჩამოვიდეს თფილისში, კონტრაქტი კანონიერად უნდა დამტკიცდეს და შემდეგ მუშაობას შეუდგებიან.

მოგესხენებათ, რომ ქალაქის პლანისა და წყლის გაყვანის პლანის გაკეთებისათვის ქალაქის რჩევა აძლევს შემოსხენებულ ინჟინერებს 16,000 მანეთს.

ამ ნიორად, ჯერ პლანი იქნება შედგენილი წყლის გაყვანისა და შემდეგ ახალი ვაჭრობა უნდა გამოცხადდეს თვით წყლის გაყვანის მუშაობაზედ.

მაგრამ ყურადღების ღირსია, რომ რაც ჩვენს ქალაქში სახელმწიფო უწყება და დიდი სახლის-პატრონები, რომელთაც კი წყალი აქეთ ამჟამად თავის შენობაში გაყვანილი, ყველას შორიანოვთან აქეთ კონტრაქტი, ზოგს 5—6 წელიწადი რჩებათ ვადა კონტრაქტისა და ვისაც ახლა უთავდება ვადა, 12 წლით ნაკლებ არავის არ უკრავს კანტრაქტს.

თუ ამ სამართან წელიწადში ქალაქს თავის წყალი ექმნა, ეს გარემოება, უეჭველია, რამდენიმე წლის განმავლობაში ძალიან დახლართავს წყლის საქმეს.

* * * მასულ კვირას, ღამით, საქალაქო ინსტიტუტში მყოფმა პოლიკოენიკის მისიჩენკოს 17 წლის ქალმა მოიწამლა თავი და იმ ღამესვე მოკვდა.

ამ ახალგაზრდა ქალის თავის-მოკვლის მიზეზზე ქალაქში ბევრს ლაპარაკობენ. სხვათა შორის, ჩვენ გაეგონეთ, რომ უმთავრესი მიზეზი თავის-მკვლელობისა შინაურული, ოჯახის საქმე იყო; დედამა ამ ქალისა ერთმანეთში უკმაყოფილოდ იყვნენ თურმე, ცალ-ცალკე ცხოვრებდნენ; მამა ეხევეწებოდა თავის ქალს, რომელიც ძალიან უყვარდა, რომ დედასთან შორს დაიჭიროს საქმე, რადგან კარგ ზნეობის მაგალითს ვერ ნახავ მაგისაგანა და სხვ.

მაგრამ მოუცადოთ—რას აღმოჩენს გამოძიება, რომელიც უკვე დანიშნულია ამ თავის-მკვლელობის შესახებ.

* * * დიდი მთავარის ძოსტანტინე ნიკოლოზის ძის მოგზაურობაზე, შვეიცარიის ნავსადგური ქალაქების დასახელებად, რუსულ ვახეთს „ძროზშტატის მოამბეში“ იწერებინან:

„დიდი მთავარი 25 მაისს გამობრძანდა გემით სევასტოპოლიდამ და 29-ს მშვიდობით მივიდა ბათუმში. ამ ნაირად „პოპოვკამ“ სევასტოპოლსა და ბათუმს შუა სივრცე 400 იტალიური მილი 74 საათის განმავლობაში გაიარა.

„ბათუმში დიღმა მთავარმა დაათვალიერა თვითონ ქალაქი, ბატარეები, ბანაკი, ნავსადგური, ტბა, ძახაბერის მთები და ღამის 1 საათზე 30-ს მაისს აქედამ შოთში წავიდა, სადაც დილის 5 საათზე იყო. აქ დაათვალიერა იმან მდ. რიონი და ახალი მუშაობა პოსტისა.

„9 საათზე დიდი მთავარი წამოვიდა შოთიდან და იმავე დღეს საღამოს 6 საათზე სოხუმს მობრძანდა; სოხუმიდან წავიდა პიჭინტას, შემდეგ ნოვოროსიისკში და აქედამაც იალტაში.“

* * * მთავარი გახეთს „ძვეკაში“ ხელ-მეორედ გამოცხადებულია უმაღლესი ბრძანება, რომ ვისაც მსმალოს ჯარის თოფები აქვს და კანონიერი მოწმობა არ აქვს ვისგანაც რიგია, რომ ამ თოფის შერჩა უფლება აქვს, ყველამ პოლიციის უნდა წარადგინოს ეს თოფებიო.

* * * ჩვენ შეეცაქო, რომ რამდენიმე თფილისელ ქართველ ახალგაზრდებს წერილი გაუგზავნიათ სპარსეთში იქაურ რუსის ელჩის კარის მღვდლისათვის და უთხოვნიათ, რომ იმან შეკრიბოს ცნობები იქაურ ქართველების მდგომარეობაზე და გამოგზავნოს თფილისში. ამგვარი ცნობების შეკრება ხსენებულ მღვდელს მით უფრო არ გაუჭირდება, რომ იქაურ ქართველებს ამ მღვდელთან თითქმის განუწყვეტელი მისვლამოსელა აქვს თურმე.

* * * თფილისის ახლო-მახლო სოფლებიდან გეაცნობებენ, რომ ამას წინათ რომ ხშირი წვიმები იყო, იმის წყალობით ზოგან კალია გამქრალა; მაგრამ მაგიერად ამ წვიმებს ზოგიერთს სოფლებში ნამუშევრისათვის ცოტადენი ზიანიც მოუტანია.

* * * ჩვენ მივღეთ ვახეთში დასაბეჭდათ შემდეგი შენიშვნა თფილისის უფზდის (სომხითის) ერთი საზოგადოებიდან, რომელსაც კარგათ გამოიცნობს ვისიც რიგია:

„წარსულს 1878 წელს იყო კანონიერი ვადა ახალი ნაცვლების აღმოჩენისა; მაგრამ არავინ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ამ საგანს; ღმერთის შემწეობით, წრეულს ძლივს მოვესწარით მოლოდინე კენჭსა.

„აღმოვიჩინეთ ახალი მამასახლისი. სულით და გულით მოველოდით იმისაგან ახალ თანამდებობის აღსრულებას; მაგრამ ამოდ ჩაიარა ჩვენმა სუოვილმა: ახალს ჯერ არავინ აყენებს თავის თანამდებობაზედ და დარჩენია ბურთი და მივიდანი ისევ ძველს მამასახლისს, ბიორგი სუბიტრევილისა, რომელმანც მალე გამოცვლის მოლოდინებაში დაუწყა მკა თავის მრევლს: აქ კაცს გალანძლამს, იქ დედა-კაცსა სცემს და უშვერის პირით ამკობს. ამას გარდა ითხოვს სოფლის კაცებს, თავისის ძალით რამდენიმე წლით ანთავისუფლებს ხარჯისაგან, რასაკვირველია, საზოგადოებამ უნდა შეიტანოს იმათ მაგიერათ ხარჯი. ეს მამასახლისი ართმევს თითო კაცს, ბეჭდის ფულად, შევიდღგან ვიღარე თხუთმეტ მანეთამდინ და იწყობს ჯიბეში, იმათ ხარჯს კი ჩვენ, საზოგადოებას, გვართმევენ.—

„ამისთანა უკანონო ქცევაზედ განუცხადეთ უფროსთა, მაგრამ არავითარი განკარგულება არ მოახდინეს რა და ვართ ძველი ნაცვლისაგან ამისთანა შევიწროებაში.“

„დროების“ კორექსორდენსია

დუშეთი, 17 თიბათვეს. ისე ცუდათ და უბედურათ არსად არ მიდის ამ ჟამად საქართველოში სასოფლო შკოლის საქმეები, როგორც ღუშეთის უფზდში. მე დავიარე თითქმის მთელი საქართველოს კუთხეები, ბევრს ალაგს ბევრი უწესობა შევნიშნე, ბევრს მასწავლებლებში სამშობლო ენის უსიყვარულობა და წინააღმდეგი მოქმედება ჭეშმარიტის პედაგოგისა; მაგრამ რაც ღუშეთის უფზდის ხალხსა და აქაურს მმართველებს მიუძღვით წინაშე სასწავლებლებისა, ყველას გადააჭარბებს.

შარშან, სოფელს ახალ-ზორის მღვდელათ დანიშნეს ახლად ნაკურთხი მღვდელი მამა ნიკოლოზ სამხარაძე, რომელიც მოვიდა სოფელში კიდევ და მოჰკიდა თავის საქმეს ხელი. სხვათა შორის მან მოინდომა ამ სოფელში შკოლის

გახსნა; მთელ სოფლის ხალხს აუხსნა საჭიროება შკოლისა: ხალხს ძირითელ გახარდა და სთხოვეს ღვდელს ეთავა. ღვდელმა მოჰკიდა ხელი; მაგრამ, საუბედურათ, სახლი ვერ იშოვეს; ბალოს აქ სომხების ეკლესიის გვერდზე დაუთმეს სომხებმა ორი ოთახი და მომართა შკოლა.

ამ სოფელში მომეტებული ნაწილი სომხები სცხოვრებენ, და სასწავლებელშიაც მომეტებული ნაწილი სომხის ყმაწვილები სწავლობდნენ. ხალხი ძალიან ემადრიელებოდა მღვდელსა.

ამაზე აქაურს სომხის მღვდელს ჯავრი მოსდოდა და შეიტანა საჩივარი სომხების ეპისკოპოსთანა, რომ ჩემი ეკლესიის გვერდით აქაურმა სომხებმა და ქართველებმა ქართველების მღვდელს შკოლა გაუხსნესო და კიდევ რაღაც რაღაცები. ეპისკოპოსს სომხების პოპეჩიტელთან მიუწერია და პოპეჩიტელსაც გამოუძეგია, მართალია თუ არაო, და შემდეგ წასულა სოფელში და შკოლაც დაუკეტინებია, ბარგი გადაუყრია და უთქმის, როგორ შეიძლე შენ ქართველმა ღვდელმა სომხების ეკლესიის გვერდით შკოლის გახსნაო! ამაზე მღვდელს მიუქცევია ღუშეთის უფზდის ნაჩაღნიკისათვის, მაგრამ ნაჩაღნიკს ყურადღება არ მიუპყრია.

სოფლის ხალხს ძალიან ჯავრი მოსვლია და როდესაც იქ პოპეჩიტელი მისულა და ამ ღვდლისთვის შეურაცხყოფა მიუყენებია, ამათაც სულ ჭკვებით ჩაუმტყრევიათ იქაური სახლების ფანჯარა და კარებები.

შემდეგ ამისა ამ მღვდელს თავის სახლში მოუთავსებია შკოლა და ამ ჟამად ოც-და-თორმეტი ყმაწვილი ჰყავს და შევიდო ქალი; ქალებს მღვდლის ცოლი ასწავლის და ვაჟებს მღვდელი. შკოლა ძალიან სიღარიბეშია ჩავარდნილი; არსაიდან შემწეობა არც ფულით და არც წიგნებითა არა აქვს. ამ სასწავლებელში წრეულს შეიღს გაუთავებია სწავლა; ხუთს მათგანს სოფლის საქმეებისთვის მოუკიდნიათ ხელი და ორი კი აქ ჩამოსულან რეალურს გიმნაზიაში შესასვლელათ.

ზ. მსიტაშვილი.

სიღნაღი, 19 თიბათვეს. ამ სამის წლის წინეთ სიღნაღის საუფზდო სასწავლებელი სამ-კლასიან საქალაქო სასწავლებლათ გარდაკეთდა.

მხლა, თიბათვის 15-ს, ხსენებულ სასწავლებელმა გამოუშო პირველი კურსი, რომელიც, მართლად სამაგალითო და ენერგიულ მასწავლებლების წყალობით ძალიან კარგი და საიმედო კურსი არის. ინსპექტორი თ. პო. ჯავახოვი და მასწავლებელი უ. პ. ბაღაევი და სხ. კეთილი გრძნობით, ბეჯითობით და გამჭრიახობით ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას. ძურსი შესარულეს მხოლოდ ოთხმა, მაგრამ საკვებურის წარმატებით.

15-ს თიბათვეს იყო ამ სასწავლებელში საზოგადოათ აქტი. ძურსის შემსრულებ-



ლებს დაურიგდათ ატტესტატები. ამ დღე-სასწაულისთვის იყენენ დაპატოვებულნი შაგირდების დედამა და ყველა მალალი და დაბალი თანამდებობის სიღნაღის ჩინოვნიკები. მოწვეული იყო აგრეთვე მუქურმიშიდამ სამხედრო მუზიკა. აქტი მოხდა სასწავლებლის საკუთარს შენობაში. ამ იშვიათმა ამბავმა ძრიელ დიდ-ძალი ხალხი მიიზიდა სასწავლებელში.

აქტი დაიწყო მამა ბეგიევის ჩინებულის სიტყვით; შემდეგ სიტყვა უ. ინსპექტორმა ჯავახოვმა, რომელმაც, სხვათა შორის მშვენიერად ახსნა, რომ ყმაწვილების აღზდაში წილი აქვთ არა მარტო მასწავლებლებს, არამედ მთელ საზოგადოებას და განსაკუთრებით დედამას, უფ. ინსპექტორმა წაიკითხა სასწავლებლის ანგარიში; ბოლოს კურს-შემსრულებლებს უთხრა გონიერი და გრძნობით სავსე დარიგება. მასწავლებლებს დიდი მადლობა გადაუხადა იქ მყოფმა ხალხმა.

ამავე შენობაში საღამოს იყო ტანციობა, რომელზედაც აგრეთვე დიდ-ძალი ხალხი დაესწრო.

ისტორიის მასალა *)

მს განჩინება დაიდვა მართველთა, მუშთა და ანწუხელთ შორის:

ღმის იქით მუშებმა ასე წმინდათ უნდა დაიცვან თავი, რომ ჩვენს შემოარიგებულს ღვკს ანწუხელსა, ძაბუ-ქელსა თუ სხვას ნურას აწყენენ და ნურცა რას მოჰპარვენ.

მუ მუშთ ბელაქნისაკენ ჯარით სამტეროთ წასვლა მოინდომონ, მუშთ მოურავს შეატყობინონ, წიგნი გამო-ართვან შეარელთა და ბავაზელთზე. მუ ნებადესთ, ისინიც გაჰყვებიან, თუ არა თითონ წავიდნენ, მაგრამ მოურავის შეუტყობლად ნუ წავლენ და შეარელსა და ბავაზზე ნუ წავლენ და გაღმავებ შიზიყიდამ და საიღამაც უნდოდესთ იქი-ღამ წავიდნენ. მუ მუშთ ბელაქნისაკენ წასვლა მოინდომონ საყაზანოთ, მარტო თითონ ნუ წავლენ, ერთი-ორი კაცი შეარლიღამ და ან ბავაზიღამ წაი-ყვანონ და ისე წავიდნენ. მუ იქიღამ ვერ იშოვნონ თან გამყოლი კაცი, მი-ზიყს ჩავიდნენ, მეჯინს, ბურჯანს და იქიღამ იშოვნონ კაცი, იქიღამ წავიდ-ნენ და თავის მტერს იქიღამ უმტერონ, ზაფხულშიაც ასე ქნან და ზამთარშიაც. ძარტუბანსა და ძარტუბანს ჩასწერივ აღაზნამდინ მუშნი ნულარ ჩავლენ, ანწუხელთ დაანებონ, ნურც სანადიროთ, ნურც სამტეროთ და ნურც გზის შესა-ქრავათ ნულარ გაივლიან.

სისხლი პირველათ თორმეტი თუმი-ნი იყო, მეორე ოც-და-ოთხ თუმნათ

*) მს განჩინება გაღოგვცა ჩვენ ჩვენი ისტორიკოსის სულხან ბარათოვის შვილმა, რომელსაც სხვა ხელნაწერთა შორის, ესეც უნახავს მამის ქალღვდებში.

ასე უნდა მისცენ. მუ ის მკვლელი ჩავიდეთ ხელში, ხომ ასე გამო-ვართმევთ და თუ ვერ ჩავიდევით, იმის ნათესავსა და იმის სოფლის კაცს უნ-და გარდახდეს. მართველის მხრიღამაც, მუშების მხრიღამაც და ანწუხელთ მხრიღამაც, როგორც ზეით სისხლი და-გვიწერია, იმის ნათესავებს და იმის სოფ-ლის კაცთ გამოერთმევა ეს სისხლი, ასე გვიბრძანებია.

ამის პირობა მუშთ ფიცითა და მუ-გავხადეთ და კიდევ არ იქნა, მაინც კი-დეც ხოცდნენ და ახლა ოც-და-ათ თუმი-ნათ გაგვიხდია.

რომელიც მოჰკლავს, მუშა, თუ ან-წუხელი, თუ მართველი, ეს სისხლი ჩაღვით ასე უნდა მოგვეცენ, რომ ამ გარიგებას დღის იქით აღარ გადახ-დნენ.

ანწუხელთა კიდევ ეს პირობა უნდა მოგვეცენ, რომ ან თვითონ და ან სხვამ თავიანთმა კაცმა სხვა ღლისტნის კაცი არ მოიყვანონ თავიანთ ბინაზე და არც სხვის ოსტატობით და არც თავიანთი გაქცეული კაცი მიუშვან, რომ ანწუ-ხელთ ცოდნით იმათ ძახეთში არა და-ამაფონ-რა, ან მუშზე და ან ძახეთზე. მუ რომ ანწუხელთ შეიტყონ იმ უც-ხო კაცისა ძახეთზედ მომავლობა სამ-ტეროთ, ის ბავაზელთ და შეარელთ უნდა შეატყობინონ, რომ ისინი სხვათ შეატყობინებენ.

მს ხომ ყოველთვის აძევსთ ანწუხე-ლებს, ჩვენი ტყვე რომ მიჰყვანდესთ სხვას ლეკებს, თუ დიდი ჯარი არ არის და მოერეოდნენ, უნდა წაართვან და მოგვეცენ და რაც ჰქვამარიტი ანბავი იცოდნენ ღლისტნის ჯარისა, უნდა შე-ატყობინონ შეარელთა და ბავაზელთა და ჩვენც გვაცოდნონ, —ამის მოვალე-ნი არიან.

ამას გარდა თუ ანწუხელთ თაზუ-მობით უკუდგეს ვინმე და იმან ან მუ-ში და ან ძახი კაცი მოკლან და ან მოიპარონ რამე, ანწუხელთ თემობით უნდა მოგვეცენ პასუხი. როგორც მუშთ მიუციათ პირობა, აგრეთვე ანწუხელთ უნდა მოგვეცენ პირობა ფიცით და მუ-ჩაღვით.

მურდობისაც ასე უნდა იქნას, რომ-ლისაც მხრიღამ ქურდობა მოხდეს, თუ ის ქურდი ვერ ჩავიდევით ხელში, იმისმა ნათესავმა და იმის სოფლის კაც-მა უნდა მისცენ პატრონს ერთი-ორად მოპარული და სამთხრობლოცა, თუ გასვილია.

მრისა მხრივ ასე უნდა იქნას ეს განჩინება მართველსა, მუშსა და ან-წუხელთათვის არს დადებული.

აღიწერა მაისის იზ (16) 1786 წ.

უცხო ქვეყნები

საზრანბათი

„მელნის ბაზეთში“ იწერებიან ლონ-დონიღამ, რომ პრინც ლეონ ნაპოლეონს, რომელიც ზულუხებმა მოკლეს სამხრეთ

აფრიკაში არაერთი ქართველი იმ დროს არ დაუტოვებია. მისი სრულებით არ არის მოხსენებული, რომ ვითომც თავის შემკვიდრედ ის ჰე-რომ ნაპოლეონის შვილს მიქტორს სტო-ვებსო, — ეს ამბავი გაზეთის „პეის“ რე-დაქტორის პოლ ძასანიაკის შეთხზული არისო.

მუშცა ეს ასეა, მაგრამ ჰერომ ნა-პოლეონი მაინც თავის თავს სთვლის მოკლული პრინცის შემკვიდრედ და ზოგიერთ მეგობრებს გამოუტყდა, რომ დღის შემდეგ საფრანგეთის ტახტის პრეტენდენტი და იმპერიის წარმომად-გენელი მე ვარო.

საფრანგეთის მმართველობას კი, თა-ვის მხრით, გამოუტყდა, რომ ჩვენ არ უშლით ბონაპარტისტების მოძრაო-ბასაო, მაგრამ, თუ რომელმამე ნაპო-ლეონის შემკვიდრემ საქვეყნოდ წარმო-სიტყვა, რომ ის არის მედიებელი საფ-რანგეთის ტახტისა, ამ შემთხვევაში ამ პრეტენტენტს განვდეგით საფრანგეთი-ღამაო.

— პრინც ნაპოლეონის გვამის მოტა-ნას სამხრეთ აფრიკაში იელისის პირ-ველ რიცხებში მოეღიან ლონდონში.


მსმალეთი

ათინიღამ იწერებიან, რომ მსმალე-თის მმართველობას 55,000 ჯარი ჰყავს დამზადებული მპიში და მესალიაშიო. იმ შემთხვევისთვის, თუ ვინიცობაა, სა-ბერძნეთთან ვერ მოთავსდება სამზღერე-ბის გასწორების თაობაზედაო.

ამავე საგნის შესახებ ერთს ფრან-ცულს გაზეთში იწერებიან სტამბო-ლიღამ, რომ მეროპის უმთავრეს სა-ხელმწიფოების წარმომადგენლებმა მს-მალეთის უცხო ქვეყნის საქმეთა მი-ნისტრს შარა-მეოდორი-ფაშას გარდას-ცესო ნოტა, რომელშიაც აცხადებენო სურვილს, რომ მსმალეთი მოურიდეს საბერძნეთს სამზღერების გასწორების შესახებ. სტამბოლში იმედი აქვთო, რომ მეროპის შუამავლობით, ეს განხეთქი-ლება საბერძნეთსა და მსმალეთს შუა მშვიდობიანად გათავდებაო; მაგრამ ორი-ვე მხარეები კი მაინც საომრად ემზადე-ბიანო.

— ღღევანდელ სამზღერ გარეთის ფრან-ტამ მოგვიტანა უფრო დაწერილებითი ანგარიში იმ ლორდების პალატას, სხლო-მისა, რომელზედაც, ღირდა ძარნარგო-ნის წინადადებით, სამხეთის თაობაზე ჩამოვარდა ლაპარაკი. ამ ლორდს უთ-ქვამს, რომ მცირე აზრის სამხები ახ-ლა ისეთივე შევიწროებულ მდგომარე-ობაში არიანო, როგორც ომიანობის წინათ იყენენო. მსმალეთის მთავრო-ბაა დაჰპირდა სამხეთისი ხალხს სხვა-და-სხვა ახალი რეფორმების შემოღება და იმათ მდგომარეობის შემსუბუქება, მაგრამ ეს პირობა დღემდინ არ აუსრუ-ლებიაო; საინტერესო იქნება მწვეტი-ყოთო — თუ რა თვალით უყურებს ამ საგანს ჩვენი მმართველობა და სხვ.

ამ სიტყვის პასუხად ინგლისის უცხო



ქვეყნის საქმეთა მინისტრმა მარკიზ სალ-
მბერიმ წარმოიტყვა გრძელი სიტყვა, რო-
სელშიც ამტკიცებდა, რომ ახლანდელ
ვონტარს წრფელის გულით ჰსურს თა-
ის ყველა ქვეყნდრომების ერთნაირად
გაბედნიერება და ყოველ გვარა ცუდი
მოკლენისა და წესების მოსპობა მ. მალ-
ლეთში; იმას ჰსურს, რომ რეფორმები
შემოიღოს, მაგრამ ყველა ამ კეთილ
განზრახვას ხონთქრისას და მსმალეთის
მთავრობისას უფულობა აბრკოლებს.
ინგლისი მოსახლეს მსმალეთს, თავის
დაპირება შეასრულოს, მაგრამ ჩვენ
მოთხოვნილებას არავითარი ძალა არ
ექნება, სანამ მსმალეთის ეკონომიური
მდგომარეობა არ გაუმჯობესდება, სანამ
ომისაგან დაქანცული ხალხი არ შეის-
ვენებს და თვითონ მმართველობას
ნივთიერი ღონისძიება არ მოეცემა.
— ძრიტის ლუბერანტორი ჟოტიადეს-
ბეი ამ დღეებში წასულა სტამბოლიდან
ძრიტში და წაუღია თან ხონთქრისაგან
დამტკიცებული წესდება ახალი რეფორ-
მებისა, რომელიც, ძრიტის ხალხის მო-
ხოვნილებით, უნდა შემოიღონ ამ კუნ-
ძულზე.

უგვიპა

ახალი ქედივი (ხონთქრის წარმომად-
გენელი, მთავარ-მმართველი) ეკვიპტისა
— მიჭიკ-ფაშა არის ყველაზე უფროსი
ვაჟი ახლად-გადაყენებულის ქედივის იზ-
მაილ-ფაშისა. ის დაიბადა 1852 წელს.
მაშასადამე ახლა ოც-და-შვიდი წლისაა,
ის ცოლიანია და ერთი ვაჟიც ჰყავს
პრინცი აბაზი, რომელიც იმის შემკვიდ-
რედ ითვლება.

თვ. ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობამ შეიტყო, რომ

ზოგიერთი დიდი გაუმწინებელი მამულე-
ბის მეპატრონეები კ. თფილისში, რო-
გორც მაგალითად თ. თუმანოვები,
ქრისტაფი, ბაბაშვილები, მელიქოვი და
სხვანი, ნაწილ-ნაწილად ჰყოფენ თავიანთ
მამულეებსა და ასე ნაჭრებად ჰყიდიან
უპლანოთ და პლანის წარუდგენლად
ქალაქის გამგეობაში, რომელიც წინა-
აღმდგეოა „ქალაქის კეთილ-განწყობი-
ლების დროებით წესდების“ მე-16 მუხ-
ლისა და „შენობითი წესდების“ 307
მუხლისა

ამის გამო ქალაქის გამგეობა მოიწ-
ვეს ამ მამულეების პატრონებს, რომ
სანამ გაჰყიდდნენ თავიანთ მამულეებს,
სანამ მამულის დაქოვის პროექტი
წარმოადგინონ ქალაქის გამგეო-
ბაში განსახილველად; მყიდველთ კი
ქალაქის გამგეობა არ მისცემს შენობის
უფლებას იმ მიწაზე, რომლის გამო-
ყიდველსაც შემოხსენებული მოთხო-
ნილება არ შეუსრულებია. ამ მოხსენე-
ბულ პროექტების შედგენაში ქალაქის
გამგეობა, შეძლებისა-და-გვარად, შემ.
წეობას მისცემს მამულის მეპატრონეთა-

(3--2)

პირუტყვის დამცველი თვილისის
საზოგადოება აცხადებს, რომ ვისაც
ამ საფხულის განმავლობაში საზოგა-
დოებასთან რაიმე საქმე ექნება, უნდა
მიმართოს, საღამოს 4 საათიდან 5-მდე,
საზოგადოების სეკრეტარს უფ. ნ. ი.
მესხერსკის, რომელიც ცხოვრობს რიყე-
ზე, ახნაზროვის სახლში, მირიკოვი სუ-
ლის გვერდით. ხაზინდარი საზოგადოე-
ბისა უფ. ი. მ. ქაშუმოვი დგას მარან-
ციოვის წყლის-პირა ქუჩაზე, მარლამოვის
სახლში, № 18; ამის ნახვა შეიძლება
ნასადილევის 3 საათიდან 5-მდე.
(3--2).

ბუჩიაწი, სოფელს ხილის-თავში გავბ
სენი სტალიარის მარტინაძე მკვერე
ყოველ გვარ კარგ მწიფელს, რეფორმად
მსურველს შეუძლიან მომართონ მღელ
შილიზე ქალანდაძის სახლში.

სამაგისტრო ქალანდაძე

(5--3)

პატივი გვაქვს გამოუცხადოთ უფ
ხონისა და აგრეთვე მსურვეთის მო-
ვაჭრეებს: ივნისიდან თფილისში ჩაბარე-
ული ქარვასლებიდან ყოველივე ხო-
რაგი საქონელი გაიგზავნება თავიანთ
ბინაზედ, ჩვენის ხარჯით, რომელსაც
ვამწესებთ ხონამდინ ფუთზედ—50 კა-
პეიკი და მსურვეთში ფუთზედ—75
კაპეიკი. ჩვენზედ ჩაბარებული საქონ-
ლისა ნაკლულება ან დაკარგვის ვალ-
დებული ვხდებით, პირობისამებრ, მოვძ-
ლოთ თანახმად მოვაჭრეებისა.

ქანტორა იმყოფება: პირველი—თფი-
ლისში (შორემაზის ქარვასლა № 1) და
მეორე—სამტრედიის სტანციაზედ. 2-რე
გილი.

ბარსევან იაგ. რატიანი.

(4--3)

გამოვიდა და ისყიდება „ბუტიანობა“

ვლადიმერი
აკაკი წამრეთლისა

ისყიდება: ჩარკვიანის, მართანოვის და
ბრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, აგრე-
თვე უფ. შავერდოვის ბაზეთის სააგენ-
ტოში, ბულვარზე.

რ. ბ. შ. ა.	დ. ი. ა.	ს. ა. მ.	II კ.	III კ.	ტელეგრაფი	მან. კაპ.	მაზანდა	მან. კაპ.	თვილისის სამკურნალო
თფილისი	9 21	5 18	8 კაპ.	მ. კაპ.	მ. ცი სიტყვა თფილისიდან:		თფილისი 22 ივნისს.		ქრევის მოღონზე 5.31. რ. ა. ის
მცხეთა	10 11	6 27	85	44	ქალაქის აქეთა მხრის ყველა	50	შქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2 20	სახლებში.
ბორჯი	11 58	9 43	3	1 53	როსტოვს, მდგსას, მოსკოვს,	2	შქვ. წითელი	1 55	ავთომოფებს მიიღებენ ყოველ
ხაშური	1 29	11 57	4 73	2 42	ბეტერბურსს, მარშავს	2	ჭერი ფუთი	1 35	დღე დილის 9 საათიდან 1-დინ
სურამი	1 44		4 90	2 61	მსმალეთში, შევიცარიაში	3	ბაბა პრეფისა, ფუთი.	7 30	მ. რ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმიშვიდი და
ქვირილა	5 49		7 21	3 69	იტალიაში და საფრანგეთში	3 50	— ამერიკისა, ფუთი	8 50	მარლამოვი—შინიგ. ავთ., ქიუჩა-
რიონი	6 57		8 44	4 31	ინგლისში	3 75	ბანტალი ბაბა ფუთი.	10 70	რანტ—ქალის ექიმი და საშვი-
სამტრედი	7 51		9 66	4 93			მატყელი თუშური ფუთი.	8	ლოსნოს ოპერაციები.
ახალ-სენაკი	8 43		10 71	5 47	უოკბა		— მარქამისა ფუთი	4	ს. ა. მ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმიშვიდი—ში-
ფოთი	9 50		12 24	6 26	ა) თფილისიდან: სამზღვარ გარეთ,		— აბრეშუმი, ნუხური სტ.	2 10	ნაგ. ა. გახუტოვი—საბებო და
ფოთი	9 3				მუთისის, რუსეთს—ყოველ		ქონი ფუთი	5 80	ბაეშვის. პეტროვი—თვალის.
ახალ-სენაკი	10 14		1 53	7 8	დღე კვირს გარდა. ზუგდ. ორშ. და		ქონის სანთელი ფუთი.	7 60	მ. თ. ხ. შ. ა. ბ. ა. თ. ს: მერმიშვიდი
სამტრედი	11 5		2 61	1 33	სუთშ. მსურ.—პარასკ. და ორშ. ქა-		სტეარინის სანთელი ფ.	12 40	ნაგანი ავთომოფობის.
რიონი	12 13		3 84	1 97	ხეთს—სამშ. და შაბ. ბ) მუთაი-		ხორცი ძროხისა დიტრა	72	ს უ თ შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიდი—ში-
ქვირილა	1 18	ლაგ.	5 3	2 56	სილამ: თფილისისა და ფოთისაგან—		— ცხვისა, ლიტრა	90	ნაგ. ქიუჩარანტი—სიფილიტიკურ
სურამი	5 12		110 7 34	3 74	ყოველ დღე კვირას გარდა. მსურ-		საირტი ვედრო	4 50	და სოზარდე ორგანების.
ხაშური	5 39		1 37 7 51	3 84	გეთს—ორშ. და პარასკ.		შაქარი ბროც. ფუთ	7 10	პ არ ა ს კ ე ე ს: მერმიშვიდი—ში-
ბორჯი	7 5		4 8 9 24	4 73	წიგნის გაგზავნა რუსეთში		— ფხენილი ფუთი	5 75	ნაგ. ა. ბანტოვი—საბებო, ქა-
მცხეთა	8 50		6 59 11 39	5 82	და სამზღვარ გარეთ:		ქავა რგვალი გრვ.	65	ლისა და ბაეშვის
თფილისი	9 31		7 5 6 12 24	6 26	ლი წიგნის		წიგნი ქუნჯუთისა ფუთი.	11 80	შ ა ბ ა თ ს: მერმიშვიდი შინაგ., და
					დაბეჭდვის (სამი მისალი)		8. თანაქო საშუალო ფთ.	6 50	პეტროვი თვალისა.